საიდ. №74701/03

IR 894182

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №48-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, მ. ჭიჭინაძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2015 წლის 04 მაისის №ა-97 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „გლასშიუთერ ურენ ბეთრიბ გმბჰ“ (Glashütter Uhrenbetrieb GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №48-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №3045/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Glashütte ORIGINAL” (საიდ. №74701/03 IR 894182) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-14 კლასი).

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის №3045/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "Glashütte ORIGINAL" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომოპანიის „Union Uhrenfabrik GmbH“ (მისამართი: Frühlingsweg 5, 01768 Glashütte) სახელზე მე-14 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლის ნაწილისთვის მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა "UNION GLASHÜTTE/SA." (IR 959702; გავრცელების და რეგისტრაციის თარიღი: 28/02/2008). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშნის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სიტყვა: „Glashütte“ და მათი დამატებითი სიტყვები „UNION“ და „ORIGINAL“ არ ანიჭებთ ნიშნებს საკმარის განმასხვავებელუნარიანობას, რაც იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-14 კლასის საქონლის ჩამონათვლის ნაწილის მიმართ. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის "UNION GLASHÜTTE/SA." (IR 959702) მფლობელი კომპანია - „უნიონ ურენფაბრიკ გმბჰ“ (Union Uhrenfabrik GmbH) და აპელანტი კომპანია „გლასშიუთერ ურენ ბეთრიბ გმბჰ“ (Glashütter Uhrenbetrieb GmbH) წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს. აღნიშნული კომპანიები შედიან „ზე სვოჩ გრუპ სა“ (The Swatch Group SA) ჯგუფში, რის დასტურად სააპელაციო საჩივარზე თანდართულია კომპანიის

„უნიონ ურენფაბრიკ გმბჰ“ მიერ გაცემული თანხმობის წერილი. იქიდან გამომდინარე, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთ სამრეწველო ჯგუფში შემავალ კომპანიებს, მომხმარებელი არ იქნება შეყვანილი შეცდომაში მწარმოებლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „უნიონ ურენფაბრიკ გმბჰ“ (Union Uhrenfabrik GmbH) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „უნიონ ურენფაბრიკ გმბჰ“ (Union Uhrenfabrik GmbH) აცხადებს თანხმობას საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „Glashütte ORIGINAL” (საიდ. №74701/03 IR 894182) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „გლასშიუთერ ურენ ბეთრიბ გმბჰ“ (Glashütter Uhrenbetrieb GmbH) სახელზე. ამავე თანხმობის წერილში აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ ერთ სამეწარმეო ჯგუფში შემავალ კომპანიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16

მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „გლასშიუთერ ურენ ბეთრიბ გმბჰ" (Glashütter Uhrenbetrieb GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 05 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №3045/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Glashütte ORIGINAL" (საიდ. №74701/03 IR 894182) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ლ. ახობაძე

მ. ჭიჭინაძე